ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში

## მოსკოვი



მოსკოვი—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქი, რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი.

დედამიწის ყოველი კუთხის მილიონობით ადამიანთა თვალი შესცქერის მოსკოვს—პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქს. მოსკოვი—მშვიდობისა და მეგობრობის ქალაქი, პროგრესის განსახიერება, კომუნიზმის მშენებლობაში საბჭოთა ხალხის დიად მიღწევათა სარკე—ასე იცნობენ ამ ქალაქს მთელ მსოფლიოში.

სურათზე: მოსკოვი, კრემლი.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვი

მოსკოვი დღეს. კალუგის საგუშაგოსთან.



პირდაპირ დღითიდღე ლამაზდება და მშვენდება საბჭოთა დედაქალაქი. მის ყოველ კუთხეში უდიდესი მშენებლობაა გაჩაღებული. მოსახლეობის ყოველ ათას სულზე მშენებარე ბინების რაოდენობით მოსკოვი უსწრებს მსოფლიოს ყველა დედაქალაქს.



მოსკოვის სიამაყეა მისი მეტროპოლიტენი. ყოველწლიურად ფართოვდება მიწისქვეშა მაგისტრალი. ამ სურათზე თქვენ ხედავთ მეტროს ახალი რადიუსის უკვე გამზადებულ ტრასას.

ევროპაში უდიდესი სასტუმრო „როსიას“ მშენებლობაზე.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვი



ავტომობილ „მოსკვიჩი 408"-ის ახალი მოდელი. მის სერიულ გამოშვებას შეუდგა მოსკოვის მცირელიტრაჟიანი ავტომანქანების ქარხანა.



ქარხანა „კომუნალნიკში" აითვისეს ახალი ავტომატური სარეცხი მანქანის სერიული გამოშვება. მას საათში 500 კილოგრამზე მეტი თეთრეულის გადამუშავება შეუძლია.




სსრ კავშირის გზათა მიმოსვლის სამინისტროს ექსპერიმენტულ რგოლზე მოსკოვში გამოცდას გადის მუდმივი დენის ახალი მატარებელი ელექტრული დამუხრუჭებით. მატარებლის სიჩქარე 130 კილომეტრია საათში.

მოსკოვი სამამულო მრეწველობის უდიდესი ცენტრია. მრავალი სახეობის პროდუქცია ჩამოდის მისი ქარხნებისა და ფაბრიკების კონვეიერებიდან. ამასწინათ მოსკოვის 20 საწარმოს კოლექტივი ლენინგრადელ მუშებთან ერთად გამოვიდა ახალი პატრიოტული წამოწყების ინიციატორად. მოსკოველებმა და ლენინგრადელებმა მოწოდებით მიმართეს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს—გააჩაღოს ბრძოლა იმისათვის, რომ უახლოესი 3—4 წლის მანძილზე მივაღწიოთ სამრეწველო პროდუქციის მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტებს.

საქ[illegible] ფოტოქრონიკა

# მოსკოვი





ახალი პოლიმერი—ილონი შექმნეს მოსკოვის დ. ი. მუნდელეევის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში.

მთელი მსოფლიო იცნობს მოსკოვს როგორც მეცნიერული და ტექნიკური აზრის ერთ-ერთ წამყვან და მსოფლიო ცენტრს. ქალაქში მუშაობს ასობით სამეცნიერო—საკვლევი ინსტიტუტი, საკონსტრუქტორო ბიურო და ლაბორატორია. ისინი ამუშავებენ მრავალრიცხოვან პრობლემებს, რომელთაც უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ.

მეტროს სადგურთან, რომელიც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიასთანაა, აღიმართა ობელისკი კოსმოსის დამპყრობთა პატივსაცემად.

საბჭოთა მეცნიერებს ნ. გ. ბასოვსა და ა. მ. პროხოროვს ამერიკელ მეცნიერ ჩ. ტოუნთან ერთად მიენიჭათ 1964 წლის ნობელის პრემია ფიზიკის დარგში. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ა. მ. პროხოროვს (მარჯვნივ მეორე) ქართველ, სომეხ და პოლონელ მეცნიერთა შორის.





საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიევი



ახალი საცხოვრებელი სახლი კრეშჩატიკისა და შევჩენკოს ბულვარის კუთხეში.

კიევი დღეს. ახალი სასტუმრო „დნიპრო"




ფერფლიდან და ნანგრევებიდან აღმდგარს უწოდებენ უკრაინის სსრ დედაქალაქს. ფაშისტმა ბარბაროსებმა თითქმის მთლიანად დაანგრიეს კიევი. მაგრამ გმირმა ქალაქმა საბჭოთა ადამიანების ნებით ლაღად გაშალა ფრთები. იგი იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება, სულ უფრო მეტად მშვენდება.



საქლესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიევი



ერთი მილიონ ორასი ათასზე მეტი შალის, ნახევრად შალის, ბამბისა და სინთეზური ქსოვილების ნაწარმს გამოუშვებს მიმდინარე წელს კიევის ტრიკოტაჟის № 2 ფაბრიკა. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ამ საწარმოს სართავ საამქროს.

უკრაინის ავტომატიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში შექმნეს მცირეგაბარიტიანი მანქანა, რომელიც ნახევრადგამტარიან ხელსაწყოებზე მუშაობს და კონტროლს უწევს სხვადასხვა საწარმოო პროცესებს.



საქდესის ფოტოქრონიკა

კიევი—ჩვენი ქვეყნის უდიდესი სამრეწველო, მეცნიერული და კულტურული ცენტრია. პროდუქცია უკრაინის დედაქალაქის მარკით მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში იგზავნება. კიეველი მუშები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ მოსკოველთა და ლენინგრადელთა თაოსნობას—გააჩაღონ ბრძოლა წარმოების მაღალი კულტურისათვის, მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიევი



კიევის ახლოს, მდინარე დნეპრზე, იქ, სადაც მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლები ჰიტლერელთა ურდოებთან, დღეს უზარმაზარი მშენებლობა გადაშლილა — შენდება კიევის ჰიდროელექტროსადგური.

ყოფილი პარტიზანი, საბჭოთა კავშირის გმირი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ვსევოლოდ ივანეს ძე კლოკოვი წერს კაპიტალურ შრომას „უკრაინის სსრ დიდ სამამულო ომში“.



საბჭოთა უკრაინის დედაქალაქი ემზადება გერმანელ ფაშისტთა განადგურების 20 წლისთავის აღსანიშნავად. უკრაინელი ხალხი წმიდად ინახავს თავისი საუკეთესო შვილების, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვა მოძმე ხალხთა შვილების ნათელ ხსოვნას, რომლებიც ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაეცნენ.

# მინსკი



მარცხნივ—მინსკი 1944 წელს ნანგრევები საბჭოს ქუჩაზე (ახლა ლენინის პროსპექტი); მარჯვნივ—ლენინის პროსპექტი დღეს.



1944 წლის 3 ივლისს საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა ბელორუსიის დედაქალაქი. საშინელი სურათები გადაეშალა თვალწინ ქალაქში შესულ საბჭოთა ადამიანებს. არე-მარე ნანგრევებად იყო ქცეული.

უმალვე დაიწყო ქალაქის აღდგენის სამუშაოები. მას შემდეგ ოცმა წელმა განვლო. ფერფლად ქცეული ნანგრევების ადგილას აღსდგა რესპუბლიკის დედაქალაქი.



იაკუბ კოლასის სახელობის მოედანი.



საქდესის ფოტოქრონიკა

# მინსკი

ვინც რამდენიმე წელია არ ყოფილა ბელორუსიის დედაქალაქში ვეღარ იცნობს დღევანდელ მინსკს. 200 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი გადაეცა საექსპლოატაციოდ გასულ წელს ქალაქში. მინსკი—რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ცენტრია. ბოლო წლებში აქ მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგი შეიქმნა.



ახალი საწარმოთი შეივსო ბელორუსიის სსრ მანქანათსაშენებელი მრეწველობა. ორი წლის მანძილზე აშენდა მინსკის ძრავების ქარხანა, რომლის მთავარ კონვეიერსაც ამ სურათზე ხედავთ.

უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ახალი სასწავლო კორპუსი.



საქდესეს ფოტოქრონიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ალმა-ატა

მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული რესპუბლიკა—ასეთად იცნობენ საბჭოთა ყაზახეთს მთელ მსოფლიოში. უდიდესი გარდაქმნები, რაც წინათ ამ ჩამორჩენილ მხარეში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ნათლად აისახა რესპუბლიკის დედაქალაქში. ახალი ყაზახეთის სახე მისი დედაქალაქია—ქალაქი-ბაღი, აყვავებულ ვაშლთა ქალაქი—ალმა-ატა.

მხარდამხარ მუშაობენ ყაზახეთის მიწაზე სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. თქვენ ხედავთ დობილებს—რუს გალინა შკევას (მარჯვნივ) და ყაზახ ნილფარ თაქთიევას. ისინი ალმა-ატის ფეხსაცმლის ფირმა „ჯეტისუს" მოწინავე მუშები არიან.



ყოველდღე სხვადასხვა სამშენებლო მასალებს უგზავნის ქალაქი მშიერი ველის ახლადშექმნილ საბჭოთა მეურნეობებს.

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტაშკენტი



უბრალო მწყემსის შვილი ოცდათორმეტი წლის ვირზაბეკ იმანალიევი—ყველაზე ახალგაზრდა დოქტორია რესპუბლიკაში. იგი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დარგში მუშაობს. ასეთი ადამიანებით ამაყობს საბჭოთა უზბეკეთი



ტაშკენტი. კომკავშირული ქუჩა.

ამასწინათ უზბეკმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა ღირსშესანიშნავი იუბილე—რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავი. კიდევ უფრო გალამაზდა ამ დიდი სახალხო დღესასწაულისათვის საბჭოთა უზბეკეთის დედაქალაქი ტაშკენტი. მას სამართლიანად აქვს მოპოვებული შუა აზიის ულამაზესი ქალაქის სახელი. ამიტომაცაა, რომ აქეთკენ ყოველწლიურად მოედინება უცხოელ ტურისტთა უწყვეტი ნაკადი.




ტაშკენტი. ვოკზალისპირა მოედანი. ცენტრში —თურქესტანის კომისართა ძეგლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ტაშკენტი



კინოთეატრი „ჩაიკა" ჩილანზარის საცხოვ-
რებელ მასივში.

ახალი საცხოვრებელი სახლები ლენინის
ქუჩაზე.



განსაკუთრებით დიდი სამუშაოები ჩატარდა ტაშკენტის კეთილმოწყობისათვის უკანასკნელ წლებში. ქალაქის განაპირას, უკაცრიელ უდაბნოში, შენდება ახალი მასივი ჩილანზარი. მასში უკვე 100 ათასზე მეტი მცხოვრებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბაქო



ბაქო. მენავთობეთა პროსპექტი.

ბაქო—მდიდარი რევოლუციური ტრადიციების მქონე ქალაქი, აყვავებული საბჭოთა რესპუბლიკის—აზერბაიჯანის დედაქალაქი. იგი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიური, კულტურული და ადმინისტრაციული ცენტრია. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბევრი რამ გაკეთდა ბაქოს საქალაქო მეურნეობის ზრდა-განვითარებისათვის.

დიდი სამუშაოები ჩატარდა ქალაქის გალამაზებისათვის 1964 წელს. კეთილმოწყობილია ათობით ქუჩა, ეზო, სანაპირო, გაშენებულია ახალი ბაღები და სკვერები. ქალაქის მოსახლეობამ 300 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი მიიღო.



ახალი კრეკინგის მშენებლობა ბაქოს ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბაქო



მძლავრი თვითმავალი ამწიანი გემ-კატამარანის მშენებლობა ბაქოს პორტში.



1600 კილომეტრი აზბესტცემენტის მილი გამოუშვა გასულ წელს ბაქოს აზბესტცემენტისა და კერამიკის ნაკეთობათა ქარხანამ.



ბაქოელი პროფესორი ვ. ი. ულიანიშჩევი შრომისათვის „აზერბაიჯანის მიკროფლორა" წარდგენილია ლენინურ პრემიაზე.

ბაქო — მენავთობეთა, ქიმიკოსთა, მანქანათმშენებელთა, მშენებელთა, ფეიქართა ქალაქია. იგი ამავე დროს არის მრავალი უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, მუზეუმებისა და თეატრების ქალაქი. გამოკვეთილია ქალაქის შრომითი რიტმი, მდიდარი და შინაარსიანია მისი მეცნიერული და კულტურული სამყაროს ცხოვრება.

# თბილისი

მზით სავსე ქალაქს გადაჰყურებს მონუმენტი „ქართვლის დედა". ახლახან ამ შთამბეჭდავი ქმნილების ავტორს-ახალგაზრდა მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელს შოთა რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა.



ახალი საცხოვრებელი სახლები ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე.



მზის და ვარდების ქალაქს ეძახიან საბჭოთა საქართველოს დედაქალაქს. 1500 წლის ისტორია აქვს თბილისს, მაგრამ იგი კი არ ბერდება, არამედ კიდევ უფრო ახალგაზრდავდება. ადამიანი, რომელიც არ ყოფილა აქ თუნდაც უკანასკნელი 4—5 წლის მანძილზე, ძნელად იცნობს მის ბევრ ქუჩასა და მოედანს. უზარმაზარი ახალი მასივები შეემატა ქალაქის ფარგლებს. ცად აღიმართა უამრავი ახალი შენობის კონტურები.



საქლესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისი



ეს სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ახალი საამქრო.

შინაარსიანი, სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს თბილისი. ადრიანად იწყება მისი შრომითი დღე. მიიჩქარიან მუშები თანამადროვე, პირველი კლასის მოწყობილობითა და იარაღ-მანქანებით აღჭურვილი საწარმოებისაკენ; აგურს აგურზე ადებენ მშენებლები; ანგრევენ კლდოვან ქანებს მინისქვეშა მაგისტრალის მშენებლები; საკვლევ ლაბორატორიებში სამუშაო ადგილებს იკავებენ მეცნიერები...



მალე თბილისელები მეტროს მიიღებენ. ეს სურათი გადაღებულია მეტროპოლიტენის ერთ-ერთი სადგურის მშენებლობაზე.

საქლესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რიგა

მსოფლიოს ასობით ქვეყანას ეგზავნება ლატვიის დედაქალაქის მრეწველობის პროდუქცია. ესაა, კერძოდ, მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური, რადიო-ტექნიკური, ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის ნაწარმი. ამ დარგების მნიშვნელოვანი ნაწილი რიგაში შვიდწლედში შეიქმნა.



რიგის ავტოელექტროხელსაწყოს ქარხნის სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში.



ახალი საამქრო რიგის ტრიკოტაჟის ფაბრიკა „რიგას ადიტაისში“.

საქდესის ფოტოქრონიკა




ლატვიის მეცნიერები აქტიურად ეხმარებიან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას. ისინი ქმნიან ახალ მასალებს, აუმჯობესებენ წარმოებას, ბევრს მუშაობენ მრეწველობის მთელი დარგების ტექნიკური ხელახლა შეიარაღებისათვის. მერქნის ქიმიის ინსტიტუტში მიიღეს ახალი პლასტიფიცირებული მერქანი, რომელიც წარმატებით ცვლის მერქნის უძვირფასეს ჯიშებს და ხანდისხან ფერად და შავ ლითონსაც კი.

ფურცელი 18

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტალინი




ახალი უნივერმალი ქალაქის ცენტრალურ მოე-
დანზე.



ქალაქის ახალ რაიონში.

გასული წლის სექტემბერში ესტონელმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა ჰიტლე-
რელ დამპყრობთაგან თავისი რესპუბლიკის გათავისუფლების 20 წლისთავი.
ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ესტონეთის დედაქალაქმა ტალინმა მოიშუ-
შა ჭრილობები, რომლებიც მას ომმა მიაყენა, მნიშვნელოვნად გაიზარდა,
კიდევ უფრო გალამაზდა.



თეატრი „ესტონია".

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვილნიუსი



ახალი საცხოვრებელი სახლები ანტაკალნის ქუჩაზე.

140 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი მიიღეს გასულ წელს საბჭოთა ლიტვის დედაქალაქის— ვილნიუსის მცხოვრებლებმა. აშენებულია ბევრი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, სკოლა, საავადმყოფო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სამრეწველო დანიშნულების ობიექტი.

ვილნიუსის ხედი გედიმინასის კოშკიდან.



# დუშანბე



ახალი მიკრორაიონის მშენებლობა.

ქალაქის ახალი რაიონის ხედი პანორამული კინოთეატრის ფოიედან.



დიდად შეიცვალა საბჭოთა ხელისუფლების ორმოცი წლის მანძილზე ქალაქი დუშანბე. 1924 წელს ტაჯიკეთის ახლანდელი დედაქალაქის ადგილას ერთი პატარა ყიშლაყი იყო რამდენიმე ათეული მიწურით. დღევანდელი დუშანბე ტაჯიკეთის კულტურული და სამრეწველო ცენტრია 300 ათასზე მეტი მცხოვრებით. ახალგაზრდა ქალაქი განუწყვეტლივ იზრდება, ყოფილ ტრიალ გარეუბნებში შენდება საცხოვრებელი მასივები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრუნზე



ყირგიზეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ახლადაგებული შენობა.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შენობა.



სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში ახალი მიღწევებით შეხვდა ეროვნულ დღესასწაულს — რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს ყირგიზი ხალხი. ამ საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მოყვანილი იყო ეროვნული მეცნიერების განვითარების საამაყო ციფრები: ყირგიზეთის მეცნიერებათა აკადემიის 12 ინსტიტუტსა და რესპუბლიკის 42 სხვა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებაში სამი ათასამდე მკვლევარია, მათ შორის — 25 აკადემიკოსი, 750 მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი. ყირგიზი მეცნიერები დიდ წარმატებებს აღწევენ მათემატიკის, მყარი სხეულების ფიზიკის, ქიმიის, ავტომატიკის განვითარებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერევანი

ერთ დიდ სამშენებლო მოედანს წააგავს საბჭოთა სომხეთის დედაქალაქი. ჩვენი ქვეყნის ეს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი თავის მეორე ახალგაზრდობას განიცდის. იგი სწრაფი ტემპებით შენდება. 900 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი მიიღეს შვიდწლედის განმავლობაში ერევნელებმა. გაჩნდა ახალი ქუჩები, პროსპექტები, მოედნები, პარკები, სკვერები. დიდი გაქანება მიიღო აგრეთვე სამრეწველო დანიშნულების ობიექტების მშენებლობამ. ერევანი დიდი ქიმიის ქალაქიც გახდა.



ერევნის ს. მ. კიროვის სახელობის სინთეზური კაუჩუკის ქარხნის ახალი საამქროების მშენებლობა.



ახალი ქუჩა, რომელიც მშენებელთა სახელს ატარებს, გაჩნდა მდინარე რაზდანის ნაპირზე. იქ, სადაც წინათ უკაცრიელი ველი იყო.



საქდესის ფოტოქრონიკა

# ერევანი

სომეხი ხალხი ამაყობს შემოქმედებითი შრომის ადამიანთა მიღწევებით. მეცნიერებმა დიდი მოცულობის სამუშაოები შეასრულეს სახალხო მეურნეობის დაკვეთით. ახალი ნაწარმოებები შექმნეს მწერლებმა, მხატვრებმა, კომპოზიტორებმა, მსახიობებმა, კინომუშაკებმა.



მწერალი, დიდი სამამულო ომის მონაწილე ჰაჭაკ გიულნაზარიანი. მან ამ რამდენიმე ხნის წინათ დაამთავრა ახალი რომანი „სადღაც მთავრდებოდა ჰორიზონტი", რომელიც ომისა და ტყვეობის თემას ეძღვნება.



სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ა. ა. მათევოსიანი და ლაბორანტი რ ა. მარქარიანი სასილოსე სიმინდის ახალ ჯიშთან, რომელიც მთიანი რაიონებისთვისაა განკუთვნილი.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიშინიოვი



კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები ნ. კოპოვი და ვ. კლევანი ახალი ტუმბოების აწყობის დროს.

მოლდავეთის ფარგლებს გარეთაცაა ცნობილი ძვალზე კვეთის ოსტატთა ნახელავი. ოსტატმა ლიდია სვიდლერმა შექმნა ბევრი ორიგინალური ნივთი, რომელიც წარდგენილი იყო მრავალ გამოფენაზე.



ბევრი ახალი სახეობის პროდუქციის გამოშვება აითვისეს გასულ წელს მოლდავეთის დედაქალაქის საწარმოებმა. კიშინიოვის ფრუნზეს სახელობის ელექტრომანქანათმშენებელმა ქარხანამ ვადაზე ადრე შეასრულა დიდი ქიმიის ობიექტებისა და მშენებლობებისათვის ჰერმეტული ტუმბოების გაგზავნის გეგმა. ეს ტუმბოები გამოიყენება ფეთქებადი და აგრესიული სითხეების გადასაქაჩავად.



საქდესის ფოტოქრონიკა